

5 ISSN 0881-1509

1989



645 /
1989/2



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის ყოველთვიური სასოციალი-
ებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლი-
ტერატურული ჟურნალი.



«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политиче-
ский и художественно-литературный
журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურჰანიძე, ნონა ბაზრიანაშვილი, ნაზი თარგამაძე,
ლია ქაპაბაძე (ახსუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვანახაძე,
ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომ-
თათიძე, ნინო შვანიძე, ცინარა ტყეშელაშვილი (მხატვრული რე-
დაქტორი), ნადია შალვაშვილი, ლუბა ზეზინაძე, ირაბ
ნოზიკაშვილი, ნინო ჯაპახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექნიკური ნაწილი ბუკია

ბარათაშვილის პირველ და მეორე ბავშვებზე — გლოვა —
დ. იაკობაშვილის ფოტო.

საპარტეზელის კვ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენისა და სპ. კვ ცკ-ის გამომცემლო-
ბის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография
издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

საერთო

საზრუნავი



იახ! მშობელი, რომლის აღმზრდელი-
ბით პრიორიტეტშიც უჭერი არაეის ეპა-
რებოდა, დღეს მხოლოდ „გარემოში“
ქცეულა. ისე ნურაინ გაიგებს, თით-
ქოს მშობლიური ზრუნვა მიანდეს ვინმეს
ზედმეტად ან დედაშვილობის მნიშვნელო-
ბაში ეპარებოდეს რომელიმე გულუბრყვილო
მეცნიერს უჭვი. არა! ამ ცნების უნიკალუ-
რობა სწორედაც რომ სამყაროს ერთ-ერთ
ყველაზე მისტიკურ არსად რჩება დღესაც,
ოღონდ, მრავალი ობიექტური თუ სუბიე-
ქტური მიზეზების წყალობით მისი ცხოვ-
ელმყოფელი ზემოქმედების ძალა კი შენე-
ლებულა.

ვედაგებოდა ბარამტ-მშობელი

„არა ბატონო, გაუფუდა ახალგაზრდობა! უფროსს აღარაფრად გაგაძებნა!“ — ხშირად გვემტინა, ალბათ, მსგავსი გამოხატვებები და იქნება, ხნამალა თუ არა, გულში მაინც დავთანხმებულვართ მთელი ახალგაზრდობის მიმართ ერთი ხელის მოსმით გამოტანილ მკაცრ განაჩენს.

მაგრამ, ცოტათი თუ დაფიქრებულვართ, თუ რატომ ვართ ანგარიშგასანკენი? ვიმსახურებთ კი ყოველთვის შეილებოდავან პატივსაცემას მხოლოდ იმიტომ, რომ ახალ სიცოცხლეს მივეცი დასაბამი? თავს უფლებას მივეცემ, და ასე მოვიქცე-აღს შევახსენებ, რომ მწერები ჩვენზე ინტენსიურად აირავლებენ სიცოცხლს.

მწერებთან შედარებით, ღვთის წყალობით, გვაქვს მაინც ერთი პრივილეგია — შეილებთან ურთიერთობის, სიკვდილადერთაათნა ყოფნისა და კონტაქტის ბედნიერი შესაძლებლობა. მაგრამ, არის აქ ერთი „ნიუანსი“: შეილებთან ურთიერთობა თუ მშობლისადრის სიხარულის წყარო და ბედნიერი შესაძლებლობაა, შეილისათვის მუშაობის ურთიერთობა უკვე ბედნიერ აუცილებლობას წარმოადგენს. მშობლიდან იწყება შეილისათვის სამყაროსაკენ მიმავალი გზა. ამიტომ ავებს პასუხს შეილის უკვერე ქვეყანა ყველა მშობელი.

დამოთანხმებით, ალბათ, შეილის გარენას დიდა ქუჯა არ სჭირდება. აი, შეილის სწორად აღზრდას კი მართლაც დიდი სიბრძნე და მოთმინება უნდა, თანაც, დღევანდელი ვითარებაში, შეილთან ნორმალური კონტაქტის დროც და საშუალებაც ძალზე რთვად შემიძირდა. სხვ კავშირის ტაქტიკების სახალმწიფო კონტექსტში მიახლოებით დიანაგარიშეს მოსამსახურე ქალის იუჯასა და შეილებზე დაბარჯული დრო და აი, რა აღმოჩნდა: თუკი სამსახურში ყოფნის, ძილისა და საცვების მიღებასათვის დაბარჯული დროს არ მივიღებთ მხედვადლობაში, ათავსუფილი დრო ქალს დღეში მიხლოდა 2 საათი და 24 წუთიდა უჭირდა. ამდენი და შეილებთან საუბარს, თურმე, ახლოდა 17 წუთი ხმარდება. არღვევა დედაშვილობის ის მოღაინაობა,

ჩვენს წინაპარს რომ ათქმევინა: „მუნჯის ენა დღემ იცისო“. მუნჯესა კი არა და ხშირად მოლაპარაკე შეილის ცხოვრებაშიც ვეღარ გავრკვეულვართ. ბევრჯერ ძალზე გვიან გაუთავი მშობლებს რითი ცხოვრობდა, რას აკეთებდა შეილი. გახანგრძლივებული სწავლის სკოლები აღარ ვიკმარეთ. რომელიდაც ბრძენს, დედა რომ შეილისაგან გაეთავისუფლებინა და მისი მთელი ძალღონე საზოგადოების სამსახურში ჩაეყენებინა, ა დღიანი სასწავლო დაწესებულებების დაარსებაც მოუფიდა აზრად. ზოგს კი ჩვილ ბავშვთა სახლებისა და ბავა-ბალების მშენებლობა ქალებისადმი ქვემარტული ზრუნვის გამოხატულებად მიაჩნია. მეცნიერებმა ერთი საინტერესო ფაქტი აღმოაჩინეს (თუკი მას აღმოჩენა სჭირებოდა). თურმე ჩვილისათვის დღეის სხეულთან ფსიქო-ფიზიოლოგიური ურთიერთობა დაბადებიდან კიდევ დიდ ხანია, თითქმის რამდენიმე წელიწადს გრძელდება. ამ ურთიერთობის ხელაფნური შეწყვეტა, თურმე, მთლიანი ციკლის დარღვევას იწვევს. დღის კალთას ადრე მოწყვეტით ბავშვები თანატოლებთან შედარებით უფრო სუსტები არიან, იმით, ვისაც ბავშვობაში დღეის სიბიბო დააღღდათ, მონიფულობის გამს ათმავად უჭირთ ცხოვრებისეული სიძნელებიც დაალაგება. თანამედროვე ქალის სოციალური აქტივობის ზრდამ ბევრი პრობლემა გაუჩინა იუჯას. ქალის შრომის მაღალი კვალიფიკაცია დროის მოთხოვნად იქცა. სოციალოგები დღეს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ რაც უფრო მაღალია ქალის კვალიფიკაცია, მით უფრო დაბალია მისთვის იუჯასა და შეილების მოთხოვნილება. რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით უფრო იზრდება: საზოგადოებაში თვით-დაპყვიდრების, უკეთესი კარიერის ძიების, პირად კულტურულ მოთხოვნილებათა დაგვიყოფილების სურვილები. ყოველდა ამას ლოკაციური შედეგი მოჰყვა: რაც უფრო მაღალია მუფულობა, განსაკუთრებით კი ქალის განათლების დონე, მით უფრო მეტია განკორნანებათა ხვედრეწილი. ქალის შრომა ყოველთვის შემოქმე-

დებითი ძიების წყურვილით არ სრის გა მოწვეული. იგი უფრო ხშირად იუჯას ხელაფნობის შედეგია, მაგრამ იქნებ სადაოც კი იყოს, რას უფრო მეტი სარგებლობა მოჰქვს შეილისათვის, დღეის ხელაფნას თუ მის სიბიბოს, მის ზრუნუნას და მუდმივ მეთაფყურვობას.

რამდენჯერ გაგვეკვირვებია: რა კარგი ხალხია, რა მშრომელი, რა წესიერი. აი, შეილბა კი შეარცხვინათ, ვერ გაუმართაოთ.

სამწუხაროა, მაგრამ დღევანდელი თავბურღამხვევი სიჭარბეობისა და ეკლექტიკურ ფასეულობათა მოზღვაგების პირობებში მშობელი სულ უფრო კარგავს შეილებზე ზემოქმედების შესაძლებლობას.

მშობლიური სიყვარული ადამიანის აღზრდის, მისი პიროვნებად ქცევის თავი და თავია. მაგრამ დღევანდელი ინფსტრუქული საზოგადოების მახინჯი ფუნქციონის „მოუცვლელი მშობლის“ სიყვარულმა არც თუ უეწეებლად სახე მიიღო. ზოგიერთი მშობლის შემყურეს ასე გგონია, შეილის წინაშე რაღაც დანაშაულის გამოსასიფლად, თუ ურთიერთობაში გაჩენილი ბზარის ამოსავსებად აყრანა ხოლმე სამოყვინჩროდ უფრო მოზარდს იმპორტულ ტანისამოსს თუ სხვადასხვა ნივთებს.

სული? სულზე ზემოქმედება საცხებით გაუპიროვნებლ აღმზრდელს მიეწევთ. ბიდიშს ვიხიბ მენტორული ტონისათვის, მაგრამ იქნებ ვინმეს გგონია, შეილის თუ კარვად ჩააცმებს, ამით რამე სასიკეთის შემოტანებს მის ტვინსა და გულს? არა! საკეთის, კავთოყვარეობის, უანგარობის, თავმდაბლობის მოთხოვნილებათა აღზრდა ძვირფასი ნივთებით არ ხდება. სულიერი ფასეულობების ჩამოყალიბება მხოლოდ სულზე ზემოქმედებით არის შესაძლებელი.

მშობლიურ გრძნობას კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, გავცნობიერებდი სისუსტე — გვიჩინებ — ახლავს ხოლმე ხშირად და მაშინ, შეილებში ვხედავთ ჩვენს უფრ ყრბობის მიუღწევლად იმარტება და სურვილების რეალზაციის ძირაღას. ყველაწიარად ვცდილობთ: არ გავემორე-

190561

საქ. სსრ კ. მარქსის
ს.ხ, ს.ხ, რ.ს.ხ.ბ.

ბინათ მათ ჩვენი შეცდომები, ჩავაცვათ ის, რაც ჩვენ გვენატრებოდა, მივცეთ ის, რაც ჩვენ არ გვქონდა. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია? ჩვენი შეილები ხომ არც აპირებენ და ვერც ივლიან ჩვენი ჭხიტცხოვრება ხომ ყოველი ახალი თაობისათვის სრულიად უნიკალურ, განუმეორებელ გარემოცვებს ქმნის. ყოველმა ჩვენგანმა ხომ თვითონ უნდა ზიდოს საკუთარი ჯვარი!

დღევანდელი ბავშვისათვის მშობლის საზოგადოებრივი საქმიანობა მისი მატერიალური შედეგით იზომება: მანქანა იქნება ეს თუ ფირმის ტანსაცმისი, უცხოური აპარატურა, ავარაკი თუ უცხოეთის საგზური. ყველაფერი ეს ბავშვისათვის, უმეტეს შემთხვევაში, მშობლის საზოგადოებრივი სტატუსის და უხეშად რომ ვთქვათ ე. წ. „ჩალიჩის“ პირდაპირპროპორციულია. ამგვარად, მშობლის სოციალური კარიერის მნიშვნელობა მთელი სიგრძე-სიგანით წარმოჩინდება ხოლმე ბავშვის წინაშე. შოხარდის ცნობიერებაში დასკვნაც სათანადო კეთდება: არა კაცთმოყვარეობის, სულგრძელობისა და თავმდაბლობის კეთილშობილური თვისებების აღზრდა საკუთარ თავში, არამედ მომავალი ცხოვრებისათვის, სოციალურ კიბეზე აღმასვლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

იქნებ ვინმესთვის ნაცნობიც კი იყოს „სიკეთეს“ დახარბებული შვილის მშობლისადმი საყვედური: ვის სჭირდებოდა მერე შენი პატიოსნებაო!

ჩვენ ხომ სულ იმის ჩიჩინში ვართ: კარგ ფაკულტეტზე რომ ჩააბარო, კარგად უნდა ისწავლო. ტყვიანად იყავი და კარგ სამსახურს გიმოვიცი, იცოდა, უფროსს დაუჯერე, ნუ შეეკამათები და ა. შ. ვინ მოსთვლის სრულიად პრაგრამატისტული პედაგოგიკის პრინციპებს? და იწყება შვილის ცხოვრებაში მოწყობა, პერსპექტიული სამსახურის ძებნა, კარგი (საქმეს რომ წაადგეს ისეთი) ქორწინება და ა. შ.

წლების მანძილზე ჩვენს საზოგადოებაში გამეფებულმა „სოციალურმა აპათიამ“ ოჯახშიც შეაღწია და ამ უნიკალურ ფენომენს, საზოგადოების ზეგობრივი საფუძელიდან, უბრალო მომხმარებელად გადაქცევის საშიშროება შეუქმნა. ოჯახი ხომ საზოგადოების მცირე მოდელია, მისი სარკე, როგორც ე. მარსი უნოფგდა დამიანური ყოფის ამ უცნაურ მოვლენას. ჩვენც მხოლოდ იქ მიმდინარე რამდენიმე მტკივნეულ პროცესს შევხვით.

ოჯახის დღევანდელი დღე ხომ ყოველი ჩვენგანის საზრუნავი და საფიქრალი უნდა გახდეს, რადგან თვითოეულ ოჯახში ცალ-ცალკე მთელი ერის მომავალი იდგეს სათავეს და არ შეიძლება ეს სათავე მხოლოდ გარემოების როლს ასრულებდეს.

ლ. შ. აქიბაძე იველი, ოსუ სტუდენტი ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის უფროსი.



დემოგრაფი იჭოლა აბაშიძე

ნათელი ქართული გვერდი

დღეს ჩვენი საზოგადოების გამუდმებული მსჯელობის საგანია დემოგრაფიული სიტუაციის დაძაბულობა. ქართველი მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები თავგამოდებით კამათობენ თუ რამდენი ბავშვის ყოლა საჭირო ჩვენი ერის გამარჯვებისათვის. შეიქმნა დემოგრაფი-

ული ფონდი და ყოველი ქართველი დიდ პატრიოტულ ვალად თვლის მისთვის თავისი წვლილიც გაიღოს. მაგრამ თვალნათლი გახდა ისიც, რომ აუცილებელია დემოგრაფიული სიტუაციის მეცნიერული შესწავლა, დასაბუთებული უტყუარი დასკვნების გამოტანა, პრობლემის განვად-



ეების მიზეზებისა და მათი დაძლევის გზების ძიება. ამ დიდ ეროვნულ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ მეცნიერებს, რომელთა შორის თავისი გულმოდგინებით, მეცნიერული ალღით გამოირჩევა დემოკრატიული იზოლად აბაშიძე.

— მარტო მონოდება — გამგრავლდეთ ქართველები საქმეს ვერ უშვებენ. საქართველო დემოკრატიის სოციალური ასპექტის შესწავლა, — აღნიშნა მეცნიერმა ქალმა და თან დასძინა, — განსაკუთრებული გულსიყვარული უნდა მოვიკეთებოთ შობადობის შემეცნებაზე ღრმად ფაქტორებს, რომელთაგან ჩემი ღრმა რწმენით, უმნიშვნელოვანესა საზოგადოებრივ წარმოებაში ქალის დასაქმების პრობლემა.

ბუნებრივია, თვითონ დიდი ოჯახის დედა დარწმუნდება ქალის ორი სოციალური ფუნქციის — დედობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შეთანწყობის საკითხებით და თავისი მეცნიერული კვლევის ობიექტადაც ეს პრობლემა შეაჩრია.

სკოლაც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ცენტრ და დასავლეთი ევროპის ფაკულტეტში, ინგლისური ენის სპეციალობით სწავრინებით დაწინაურდა, უნივერსიტეტშივე გამორჩეოდა ანალიტიკური აზროვნების უფრო, ამიტომაც ტანჯაზღურა თავისი საქმიანობის ასპარეზი — მეცნიერული მუშაობა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იზოლად აბაშიძემ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში სოციოლოგიისა და დემოგრაფიის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. ამგვარად ამ განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. აქტიურად, შემოქმედებითად მონაწილეობდა დემოგრაფიული სიტუაციის შესასწავლად მონაწილე ექსპედიციებში, რომელთა მიზანი იყო სპეციალური ანკეტიების საშუალებით ჩვენი მიწის რაიონების სოციოლოგიური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლა. ამ ანკეტიებით დემოგრაფიული სიტუაციის თაობაზე უსრათი წარმოჩინდა. მეცნიერმა ქალმა იმთავითვე ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია, რომ მეცნიერულად დასაბუთებული აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება გადადგომული ამოცანაა, რადგან მას ეროვნული ასპექტი აქვს. ამ პოლიტიკის შემუშავება კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემყარებოდეს არა დემოგრაფიული პროცესების ემპირიული ცოდნებამ გამოიღწიარე სუბიექტურ მოსაზრებას, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებს. ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერს ან განსვენებულმა აკადემიკოსმა პაატა ბაგუშვილმა ურჩია დემოგრაფიული საკითხებზე მუშაობისას დასაკუთრებულთა გავსაზიერებინა ყურადღება დემოგრაფიული ას-

პექტში ქალთა დასაქმების პრობლემაზე. როცა იზოლად აბაშიძე ქალთა დასაქმებაზე გვსაუბრებოდა, აღდგებულთი თავს ვერ იკავებს: შილთან ურთიერთობისათვის დედს მხოლოდ ორი საათი რომ რჩება — ეს ბევრი რამევე მოქმედებს, ქალს უკვე სურვილი არა აქვს ბავშვი შეას. ემონია იგი უფურადგანდობდ ამ დაურჩებს. მართალია, — თქვა მეცნიერმა ქალმა, — საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა ფართოდ ჩაბმბა დიდი როლი შეასრულა მისი ეკონომიკური დამოკიდებლობის, ყოფაცხოვრებაში ფაქტიური უთანაბრობის გადალახვისა და პიროვნების პარამიონული განვითარების საქმეში, მაგრამ წარმოიშვა ახალი წინააღმდეგობანი. ეს წინააღმდეგობანი თავს იჩენს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში — წარმოებიდან დაწყებული ოჯახამდე და ისახება ქალთა პროფესიულ სტატუსში, შობადობის ინდექსში, საქონირის-საოჯახო ურთიერთობებში. ქალს თავის ქ. წ. „მეორე ცვლაში“ არანაკლები შრომა უნებს.

მართლაც, ყველასათვის ცხადია, რომ ქალი, უკლებლედ ყველა ქალი საზოგადოებრივ საქმიანობას, დაღლის, საკუთარი ფიზიკური თუ სულიერი ძალის ხარჯზე, საოჯახო შრომას უშაბმებს. მაგრამ, ღიმილით შენიშნავს მეცნიერი, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის შობადობის მატების უზრუნველსაყოფად აუცილებლათა ქალი ხელახლა დაეგვიფიქროს საოჯახო კერას. პირიქით, მთავარი ამოცანაა ქალებს ისეთი პირობები შეუქმნა, რომ მათ შესძლონ დედობა შემოქმედებითი საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად.

მეცნიერი თვლის, რომ სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის რაც უფრო საქართველო საზოგადოებრივ წარმოებაში ქალის მონაწილეობა, მით უფრო აუცილებლათა ბავშვთა შობის რეალური ეკონომიკური და, საერთოდ, ყოველმხრივი სტიმულირება.

ქალბატონმა იზოლად განყოფილებაში დიდი გულმოდგინებით იმუშავა ქალთა შრომის შესასაბუთებლად დასახლებულ რეკომენდაციების შემუშავების დროს, მაგრამ გული სწყდება, რომ ეს რეკომენდაციები სანარჩევბა ამ აიტყვას, იმ სანარჩევბებშიც კი, სადაც არასრული სამუშაო დღისა და შინ მუშაობის რეჟიმი შეიქმნა. ამის მიზეზად მის მიზანია, რომ სანარჩევბათვის ხელსაყერი რღოდა გვიგამების აუცილებელი უსრულების დროს ქალისათვის დაამკვიდროს რაიმე შეღავათიანი პირობები.

— უფროა, დღეს, გარდაქმნის პირობებში, ამ მნიშვნელოვან პრობლემასაც მოველბა, იმედოვნებს იგი, რადგან გონივრითად და ფიზიკურად დასაქმებული ქალისათვის მტკად სასარგებლოა შინ მუშაობისას და არასრული სამუშაო დღის რეჟიმი. საზოგადოებაც, სანარჩევ დარ-

წმუნდება, რომ ამ რეჟიმით მნიშვნელოვანი ფართოდ დანერგვა ქვეყანასაც არავს და არც შვილებს დაავალდებოდა დღის ხელი.

ფართოა ქალთა დასაქმების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. აიღოთ, მგალითად, სანარჩევ ღამის ცვლაში მუშაობა, — ეს ფაქტობის დარგში ქალის მომქაძეველი გარჯაა. არადა, ქალის რგბროდებული განწყობების განხორციელებაში მთავარი პირობაა მძიმე და მავნე სამუშაოსაგან მისი გამოთავისუფლება, — ამბობს მეცნიერი და ხაზსასმით აღნიშნავს: დღეს მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმულ ქალს საოჯახო შრომა საყოფაცხოვრებში ტექნიკური, საყოფაცხოვრებო მომსახურების მაღალი დონით, სანიმუშო ბავშვთა დაწყებულულებებით, ბავაპლებითა და სკოლებით შევემსუბუქოთ. ქალს ყველა პირობა უნდა შეუქმნას იმისათვის, რომ თავის სამუშაო ადგილზე ყოფინას შვილის, ოჯახის დარდი არ აწუხებდეს. მხოლოდ მაშინ იქნება მისი შრომა ნაყოფიერი და ხარისხიანი.

დიდი ოჯახის ბატონს, ორი ვაჟიშვილი დედას იზოლად აბაშიძეს მეცნიერულ საქმიანობასთან ერთად დღეს საზოგადოებრივ დატვირთვაც აქვს. იგი თბილისის კალინინის რაისბჭოს დებუტატია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სსრ მინისტრთა დემოგრაფიული კომისიისა და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ხალხმოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემათა შემსწავლელი საბჭოს აქტიური წევრია.

— ამიბრუნებლეთან შეხვედრამ ბევრი რამ უფრო ნათლად დამანახა. ჩემთან მოდიან ამომრჩეველი ქალები და თავიანთი ფიქრებს, პრობლემებს გულახდლად მიზიარებენ. განვიცოდ, როცა ვერ ვუკვირებ იმას, რასაც თხოვრებ, ბევრი წინააღმდეგობა მხვდება. მისარია, რომ დეპუტატების უღელმთაბისობებანი ახლა ასე ფართოვდება, — თქვა მან.

იზოლად აბაშიძის წინადადებით თბილისის კალინინის რაიონის ქალთა კომისიამ დაიწეს საკითხი, რომ შესწავლენ რაიონში ახალგაზრდა ოჯახების მდგომარეობა.

დემოგრაფის აზრით, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად. მაგრამ მთავარია, რომ ეს პრობლემა საზოგადოებრივ გათავისუფლებაში გათავისუფლებაში.

ქართული ოჯახის სიღიდრედ ოდიობავე მრავალი შვილი ითვლებოდა, სწამს მეცნიერ ქალს, რომ ამ სიღიდრეს ფასს, სხვა ფასებელბასთან შედარებით უფრო წინ დააყენებს ქართველი ქალი და ლეთისშობლის წილხვედრი საქართველოს არ მოუშლის ქალ-ვაჟთა სიმრავლეს, რასაც დიდ ხელშეწყობა და ძალისხმევა სჭირდება.



ჩვენი გულისგმა

ვაი, რომ საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენთვის გაზაფხულის ამ მშვენიერ თვის ერთი დღე — ამ პირიერი, როდესაც თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, თითქოსდა წესრიგის დამყარების მიზით მოსულმა სამხედროებმა, დაარბიეს, დაჩეხეს და კამიური საშუალებით სიციცხლეს გამოასალმეს არაერთი არასრულწლოვანი, დედა — ქალები, ბებიები. საოცრებაა, რომ დაღუპულთა შორის ახსოვლბურია უმრავლესობა ქალები არიან, ისიც თითქოს გამორჩეული ქართული სახელები რომ ერქვათ: თამარი, ნინო, შოთა, ნადო, მანანა, ნათია, ელისო, მარინე...!

აღმინისტრაციული თუ საქართველოს უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებით შექმნილი კომისიები საგულდაგულლოდ გამოიკვლევდნენ ყველაფერს, ალბათ დადგინდება, ვინ უმტრია ჩვენს ერს, მის ახალგაზრდას, საქართველოს და მთელ ქვეყანას, ვინ ჩასჯა ღაზარია გარდაქმნის, საქაროების, დემპუტატების, მაგრამ რა სასქელიც არ უნდა მიუზღან მათ, ყველაზე დიდი და სამართლიანი განაჩენი ხალხის მიერ უწყვეტ გამოტანილია. ეს არის საყოველთაო შეჩვენება, ზიზღი, წყევლა და კრულვა ყველა მათ, ვინც ეს სისხლიანი ტრაგედია მოახდინა ჩვენს მრავალპირანანას, არაერთხელ გადამწვარ, აობრებულ, აწიოკებულ, მაგრამ მარად უხერხულ და გაუტუნავ თბილისში.

ტირილი, გლეჯა, მწუხარება, რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი ხალხის ჩვედრი იყო ამ დღეებში, მაგრამ ჩვენს, ქალებს მდგომარეობა მაინც განსაუფრებელია, დაღუპულთა შორის ხომ დიდი უმრავლესობა სტრუქტურული გოგონები, მოსწავლეები და დეებია არიან, თავიანთი შევლები, შვილიშვილების სიცოცხლეს რომ შეეწირნენ. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ამ უბედურების დღეებში უკველა ქალი განსაუფრებრიტ მგლოვიარია.

ბევრი მოინდომეს შრომითი კოლექტივების, რაიონებისა და ქალაქების ქალთა საბჭოებში. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქ. თბილისის და მისი რაიონების ქალთა საბჭოები. დაზარალებულ ოჯახებთან თანადგომა, საავადმყოფოებში მოთავსებულ დაშველებულთა მოწახულება, ყოველგვარი დახმარების გაწევა, აი, რაც ამოძრავებს დღეს ჩვენს ქალთა საბჭოებს. და ეს გავრცელდება ალბათ შემდგომშიც.

ამ ავადსახენებელ დღეებში ჩვენ კიდევ ერთხელ ვიკარძინო ხალხთა მეგობრობის დიდი ძალა. ჩვენს გვერდით იყვნენ ყველა ეროვნების წარმომადგენლები. პირველი, ვინც ქალთა საბჭოში დაგვიერთა და ჩვენი მწუხარება გულწრფელად გაიზარა, იყო საქავშირო ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ზ. პ. პუნიოვა, რომელმაც გარდა თანაგრძობისა, შემოგვთავაზა დახმარება დაზარალებულთა მკურნალობის საქმეში. მივიღეთ არაერთი დღეშიც სხვადასხვა ქალთა ორგანიზაციებიდან, რომლებიც თანაგრძობის გარდა გვაშენებენ და სიმშვიდისაგან მოგვიწოდებენ.

დაიხ, დღეს ისე, როგორც არასდროს გვმართებს ერთობა, განსჯა და გონიერება.

არადა, დღეს, როდესაც ანალიზს ვუკეთებთ განვილოდ უბედურებას, გამოიკვთა, რომ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ჩვენც, ქალთა საბჭოებს, ბევრის გაკეთება შეგვეძლო ამ ტრაგედიის ასაშორებლად. რატომ აღმოჩნდით ჩვენ ასე შორის იმ პრობლემებისაგან, რომლებიც ახალგაზრდებს, ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს აუღელვებდა? კიდევ მეტი, ბევრმა მომხელმა არც კი იცოდა, სად იყვნენ, რას აკეთებდნენ მათი შვილები. რატომ, ვიდრეტი განზე იმ არაფორმალური გაერთიანებისაგან, რომლებიც ასე მომზადდნენ დღეს ჩვენს ქვეყანაში და ჩვენს რესპუბლიკაშიც? დაიხ, ბევრ რამეში ვტყუით უფროსთა თაობის წარმომადგენლები, პირველ რიგში, ჩვენ ვერ აღვიკვირებ გარდაქმნისა და საქაროობის პროცესე-

ბი, უცნაურად მივიჩნიეთ ამ ახალი გაერთიანების შექმნა, მათთან საერთო ენის გამოჩახვის მავერი კრიტიკის ობიექტებად ვაკციეთ ისინი. არადა, ვინ არიან მათში გაერთიანებულნი? ისევ და ისევ ჩვენი ოჯახის წევრები, ძირითადად ახალგაზრდობა. ეკოლოგიური პრობლემები, ძველთა დაცვა, მშობლიური ენის სწავლების სრულყოფა, დემოგრაფიული თუ ერთა შორის ურთიერთობის საკითხები — აი ის ძირითადი პრობლემები ამ გაერთიანების რომ აღვლენს. და განსჯეტი არ ვგაწუხებს ეს საკითხები? მართალია, ზოგიერთმა არასწორად გამოიყენა სიტყვის თავიუფლების უფლება, ბევრი მიუღებელი ლოზუნგიც წამოაყენეს, მაგრამ ისეც და ისეც მათთან შეზვედრებით, დალოცვებით, მსჯელობით, რარიგ მწვავეც არ უნდა ყოფილიყო ისინი, ალბათ მაინც შევძლებდით საერთო ენის გამოჩახვას. უნდა აღინიშნოს, რომ სრულად არადამაქყოფილებული იყო, განსაკუთრებით ცენტრალური პრესისა და ტელევიზიის ინფორმაცია იმ პოლიტიკის განსაუქმებადი, არაფორმალური გაერთიანების წარმომადგენლები რომ აყენებენ.

მე მთლიანად ვუჭერ მხარს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარის, სახალხო დემუტატის ელდარ შენგელიას გამოსვლას საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, სადა მან ჩამოაყალიბა დებულება, რომ სახალხო ფრონტს, რომლის თავმჯდომარის მოადგილაც თვითონ არის, არ ჰქონდა სთანადო მხარდაჭერა და ხელშეწყობა სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზების მხრივ. იგი ჩვენ, ქალთა საბჭოებსაც ვგვებობა, რადგან სწორედ ქალთა საბჭოები, რომლებიც არსებობს რესპუბლიკის ყველა რეგიონში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ახლოს უნდა მივიდეთ ამ გაერთიანებთან. დასაშალი არც ისაა, რომ თურმე ამ გაერთიანებებში ქალები არც თუ ისე ცოტანყოფილან. პირველ რიგში მოვქმებთ საკითხები, რომლებიც ჩვენც

ზ. კვაჭავაძის წერილის მონორარი ავტორის თხოვნი გადაიხრცობს მთიანი პუბრის დასახარებლად № 000700989 ანგარიშზე.



გვალდეგებს, ერთად ვიბრძოლოთ მათ მოსაგვარებლად. რაც შეეძლება დღეუბნებებს, რომლებიც მიუღებელია ჩვენი სოციალისტური წყობისათვის, იქ ჩვენი პოლიცია გარკვეულ უნდა იყოს და იქვე დისკუსიით, მსჯელობით, კანონის შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ, მით უფრო, რომ ამის საუკეთესო მაგალითი მოგვცეს ამ რამოდენიმე ხნის წინათ მ აპრილის ამბებთან დაკავშირებით ჩვენივე ჩამოსულმა ამხანაგებმა — საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. შევარდნაძემ და საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ანბ. ც. რაჭუმუცხიძემ.

როგორც ცნობილია, დედამამქალი მომხდარმა ტრაგიდიამ ბევრად

შეაფერხა მრავალი სანარმოს, სკოლის თუ უმაღლესი სასწავლებლის ნორმალური მუშაობა. ახლა ყველას, და მათ შორის ჩვენი ქალთა საბჭოების გადაუღებელი ამოცანაა გამოვიჩინოთ სიბრძნე და კეთილგონიერება, უზრუნველყოთ საზოგადოებრივი წესრიგი, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ თითოეულმა ჩვენგანმა მონახოს თავისი ადგილი საყოველთაო-სახალხო შრომისა და ბრძოლის ფერხულებში, რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანოს პატრიალური რევოლუციის შექმნასა და ვითარების სრულ ნორმალურადგებაში.

ამ წერილის დაწერა დამთავრებულიც არ მქონდა, რომ კიდევ ერთი სახინელი ტრაგედია დაგვატყდა თავს.

აჭარაში — საქართველოს ამ უძველეს, უღამაზეს, მრავალტანჯულ რეგიონში სტიქიურმა უხედურებამ

იმხსვერპლა ათობით ადამიანს, წისკანად ალგავა სოფლები, მთელი მთაწილი, სიცოცხლე ჩაქრა და კერია დაუნგრა ათასობით ოჯახს. ჩვენი დედებო, შვილებო, აჭარაელი ქართველებო! შექვენ მოგპარათ სიბრველ რიგში, რადგან, საქართველოს მხედველობის, უდიდესი გაჭირვების დროს სწორად თქვენ იტანოთ, გუაკაცურად უძლებდით აწიოკებას, გრევებოდ, ფიზიკურ თუ სულიერ შეურაცხულებას.

რა ვქნათ? ახეთი ყოფილა მარად ტანჯული, სათნოებით, კლდემაზისობით აღსავსე ქართველი ქალის ხვედრი, ეხლაც უნდა ვიყოჩალოთ, გავმარადეთი, შეიღებს, ძმებს, მეუღლეებს უნდა შემოუძახოთ მით უფრო, რომ თქვენ მხარში გიდგანან საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოები და რაც არანაკლებ მნაშენელოვანია, მთელი რესპუბლიკის ქალები.

თამარ ჯაში,

თსუ ინგლისური ფოლოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

გვიბოგან დემოკრატია, გიბრავს...

მოქალაქეობრივი სინდისი არ მამდლებს დღეს დემოკრატის უფლებას. აპრილის ტრაგედიას ღრმა უცხვები აქვს და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. გარდაქმნის პოლიტიკამ ბუნებრივად გამოიწვია საქარობა, შიტინგები, დემონსტრაციები, როგორც სანქციონირებული, ისე არასანქციონირებული. მოსკოვში, ლენინგრადში, ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში, ბალტიისპირეთსა თუ მოლდავეთში თვეობით ტარდებოდა და ტარდება გაცილებით უფრო ხალხმრავალი და უფრო საშიში შიტინგები, მაგრამ ამ აქციებს ამეთი ამარჯუნენ ფინალი არსად მოეყოლა. რით დავიმსახურეთ ეს? რა გამართლება შეიძლება მოექმნოს მშვიდობიანი შიტინგის დარბევას, უშთავრებად ქართველი ქალები რომ შეეწირნენ?

ამ ბოლო დღეებში ყოველი მხრიდან იმის გრელება აპრილის ტრაგედიის გამო. ვინ დაძაბა მდგომარეობა, ვინ მივიყვანა კატასტროფამდე? თუთოდ მავნებლურმა ავტოკრატმა, ბიუროკრატმა, საქმისა და სიტყვის გათიშვამ.

1956 წლის ტრაგედია გამოიწვია ახალგაზრდობის გულუბრყვილობამ, ბრმა მინდობილობამ, სტალინისა და მისი გენერალური ხაზისადმი რწმენამ. მაშინ გვესროლეს იმისათვის,

რომ სწრაფად ვერ გარდავიქმენით ნოშქოვის „სტალინი“. ახლა კი, ამ სისხლთან მ აპრილს, დაგვერფენ იმისთვის, რომ სწრაფად გარდავიქმენით და გვინდოდა გვერწმუნა. საქარობა.

გვიბოძეს დემოკრატია, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ მოაკლეს ახალი განმარტება ამ სიტყვისა. ვიცოდით, რომ დემოკრატია ნიშნავს საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების საქმიანობას და მართვის წესს, რაც გამოიხატება მათი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობასა და ანგარიშვალდებულებებში, უმრავლესობის გადაწყვეტილებისადმი უმცირესობის დამორჩილებაში და ა. შ. მოქალაქეთათვის ფართო პოლიტიკურ და სოციალურ უფლებათა და თავისუფლების მინიჭებაში და სხვა... თუკი ეს ასეა, მაშინ რატომ ვართ მოკლემუდლინი ერის თვითგამორკვევაზე მსჯელობის უფლებას? თურმე იმის უფლებაც არ გვაქვს, ვიცოდეთ, სად იყენა და სად თავდება ჩვენი სრულიად საქართველო!

ამ ბოლო დროს გახშირდა სიტყვა ექსტრემისტის ხმარება. მაგრამ ცნობილია, რომ ექსტრემიზმი არის ის მოსჯილი, რომელიც მოიხიბვს უკიდურესი ზომების გამოყენებას ამა თუ იმ პოლიტიკური

საკითხის გადასაჭრელად. მაშინ ვინ გმობდეს ექსტრემიზმი? საწილო შეიარაღებული ხალხი თუ იმ ხალხზე იარაღსხმული ქალათების შემომყვანნი?

გვეუბნებიან, რომ ახლა ჩვენი საზოგადოებრიობის უაროვნებაში მხვდა რევოლუციური გარდაქმნები, მაგრამ შთავრების ამ ბოლო აქტმა ძალზე დაგვაეჭვა ამაში. იყო დრო, როცა ქ. პატიაშვილს იმედით შეეყურებდით, მაგრამ გვიკვირდა, როგორ ვერ გმზნობდა ეს პატიაშვილი, რა გარემოცვაში იმყოფებოდა — თავისი მიწის გამყიდველების, მექრათამების, კარიერისტების და მლიქვნელების გარემოცვაში.

დაბნეულები ვართ. ახლა პრესის ფურცლებიდან გაისმის აღშფოთება — რატომ არ ამოიღლა ხალხმა ხმა იმ პოლიტიკოსების წინააღმდეგ, რომელთა მანკიერება და მტრული პოლიტიკა თავისი ხალხის მიმართ მოხლოდ გარკვეული წლების შემდეგ მზურრდება და იგმობა, მაგრამ რა დავუბრისიბოთ მას?

ჩვენი საზოგადოებრიობის ერთობლივი სურვილია, ისეთი გარდაქმნა მომხდარიყო ჩვენს უროკუნებაში, პოლიტიკასა და ეკონომიკაში, რომ ხელისუფლების კრიტიკა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად არ აღიქმებოდეს.

გვიხსნაღებენ ღრუ სამიშარს



ჭირფასო ამხანაგებო! საბჭოთა ქალების კომიტეტი ღრმა სამიშარს უცხადებს რესპუბლიკის დედაქალაქში მომხდარ ტრაგადულ ამბებში დაღუპულთა ოჯახებს, ნათესავებს, ახლობლებს. რესპუბლიკის ქალებთან ერთად განვიცდით ამ დიდ დანაკლისს, დავსტირით დაღუპულებს, ამ მძიმე უაზრ ვაღლოვობთ თქვენთან ერთად. ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ მოვუწოდებთ რესპუბლიკის ქალთა საბჭოებს გამოიყენონ თავიანთი გავლენა და ავტორიტეტი, მთელი ქალები მოახმარონ რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური გარემოს სტაბილიზაციას. დარწმუნებული ვართ, თქვენნი თავდაჭერა, გონიერება, ღირსება, შექმნილი მდგომარეობის სწორი შეფასება ხელს შეუწყობს სიმშვიდისა და წესრიგის აღდგენას.

საბჭოთა ქალების კომიტეტი

ჭირისუფალია მთელი საქართველო, ჭირისუფალია ყოველი ქართველი. დაიხიციენ ჩვენი მიწის შვილები... და ვაი, რომ მათ შორის უმეტესობა ქალია. ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ისტორიის მანძილზე, სისხლისმღვრელ ბრძოლებში უმეტესად მამაკაცები იღუპებოდნენ. ქალები მათ ბრძოლის ველზე ქსტუმრებდნენ და კერძისთან რჩებოდნენ, აკვნიბოდნენ... ქალზე ხელის აღმართვა მტერსაც კი უჭირდა; და ახლა, მე-20 საუკუნის მიწურულს, მშვიდობიან ვითარებაში დავარგეთ დედები, დები, საცოლეები, ბავშვები. დაუჭრებელია ასევე დაუჭრებელი იქნება ეს ფაქტი მომავალი თაობებისათვის.

დღეს ჭირისუფალია საქართველო! ჭირისუფალს ნუგეში სჭირდება, რომ თავადც არ დაიღუპოს გამოუთქმელი დარღობი და აუტანელი მწუხარებით. ქალთა შურნაღში, რომელიც ქალთა მეგობარი და კომპაგია, გვირეკავენ და ღრმა სამიშარს გვიცხადებენ მეგობრები მოსკოვიდან, უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან.

საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე ზოია

პუხოვა დიდ თანაგრძნობას უცხადებს ქართველ ქალებს ამ საერთო-სახალხო გლოვის გამო, სურს ჩამოვიდეს თბილისში, რათა ოდნავ მაინც შეუხსნებულს მათ ამ ტრაგედიით გამოწვეული მწუხარება.

მივიღეთ რამდენიმე დღეზეა სომეხი დებისაგან, რომლებიც ვერ იფიქრებენ თავგანწირვასა და თანადგომას მიწისძვრისაგან დატრიალებული ტრაგედიის დღეებში. მათ საპასუხო დახმარების გაწევა სურთ, ისინი ჩვენთან ერთად დასტირიან იმ 20 ქართველს, რომლებიც იმ შეზარატ მ აპარტის ამბების შედეგად დაიღუპნენ.

მოძმე ხალხის ღრმა სამიშარია გამოუთქმული სომხეთის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის ნორა აკოვიანის დეპეშაში:

„ჩვენი ძვირფასო დებო და ძმებო! სომეხ ქალთა საზოგადოებრიობა ქართველი ხალხისათვის ამ მძიმე დღეებში დამწუხრებელი გლოვობს უღანაშალო აღამიანთა დაღუპვის გამო, ოზიარებს თქვენს მწუხარებას და გულწრფელ, ღრმა სამიშარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს, ახლობლებს.“

ქართულ აბრეშუმს-ოქროს გეღალი



— ფართალი, აქტო კარგი ფართალი, — ხმაჩახლეჩამდე გაიძახოდნენ ქუთაისელი ვაჭრები და სიტყვას არ იზურებდნენ შორეულ მხარეებიდან ჩამოტანილი უცხოური ქსოვილების საქებად, ზოტბას ასხამდნენ ინგლისურ მაუდს, ლოძისა და კრაკოვის ჩითიუებს, ლონის აბრეშუმს, ჩინურ ფარჩეულს.

სხვადასხვა სახელმწიფოდან ჩამოსული სოცდარგები მუქთად იგდებდნენ ხელში საქვეყნოდ სახელგანთქმულ ქართული აბრეშუმის პარკსა და თუშურ მატყლს, რასაც საზღვარგარეო ეზოდებოდნენ და შემდეგ იქედან ჩამოტანილ ქსოვილებს მამახისხლად ჰყოფდნენ ჩვენზეავე, ეს იყო ძველად.

დღეს ქალაქის ინდუსტრიის წინსვლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქუთაისელ ფაქტურებს, რომელთა ნაწილია რესპუბლიკის სახლივი წარმოების 70 პარცენტზე მეტია.

პირველი ზუთწილდის გარიტარაჟე ჩაეყარა საფუძველი აბრეშუმის კომბინატის პირველ ფაბრიკას — ძაღის ამომღებ წარმოებას. 50 წელიწადზე მეტია არსებობს ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი, რომელსაც ამჟამად აბრეშუმის საწარმოო საფეიქრო-სამკერვალო გაერთიანება ეწოდება.

სახელოვან ფეიქრებს არაერთი გამარჯვება უჩუქებიათ, ბევრჯერ უოფილან გარდამავალი წიხედი დროშების მფლობელები, მაგრამ ბოლო ხანებში წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლები საგრძნობლად გაუფერულდა. ათი წელიწადია გაერთიანებას მოგების ვეგმა არ შეუხსრულებია. პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუარესების გამო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ზეწორმატორულმა ნაშთმა 84 მილიონ მანეთს მიაღწია.

გამოსავალი მოიძებნა: საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგეც ზურაბ მელაქის რეკომენდაცია მიეცა აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო გაერთიანების გენერალური დირექტორის თანამდებობაზე, ხოლო პარტიული კომიტეტის მდივანად ფეიქარი ინჟინერი ირა ლეშაქელი აირჩიეს.

— ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები თქვენს კოლექტივს ურთულეს პრობლემებს უსახავდა. რა გზას დაადექით, რომ გამოსავალი ვეპოვათ თითქმის უიმედო მდგომარეობიდან? როგორც ვიცით, საკითხიც კი დაიხვა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს წინაშე საწარმოებათვის პროფილი შეეცვალათ ან დაეხსურათ. — ასეთი კითხვები მივმართეთ ირა ლეშაქელს.

ი. ლეშაქელი — დაიბ, ზემდგომი ორგანოების ეს მოსაზრება იმანაც განაპირობა, რომ ურთულეს ფინანსურ მდგომარეობასთან ერთად, რესპუბლიკათაშორის საბითუმო ბაზრობაზე 70 მილიონი მანეთის ქსოვილი არ გახალდა. 17 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება საფრთხის წინაშე დადგა იმპორტული წარმოების კიბიკატების მიწოდებაზე უარის თქმის გამო.

კონსპონდენტი: ფინანსური და ეკონომიკური დაქვეითების სხვა ფაქტორთან ერთად, დისციპლინის უნესტებამ, უიმედობის განწყობილებამ ჩამორჩენას ხომ არ შეუწყო ხელი?

ი. ლეშაქელი: დაიბ, სავსებით სწორად შენიშნეთ. რა გული ექნებოდა მუშათა კლასს, რომლის წარზომ-ნაღვაწი მომხარებლის დანტერესების ნაცვლად, საწყობებში ინახებოდა. ჩაწოლილი საქონლიანობის ახალი სათავსების აგებაც გადაწყვეტილებით.

ფაქტო ცხოვრებიდან: გვახსოვს, მაღალი-ბიზნო მომხმარებელთა და დახლის მუშათა საუბარი:

მომხმარებელი: — რეცხვაში როგორია? გამუფდელი: — ემდურია.

მომხმარებელი: — როგორ უთვლდება? გამუფდელი: — ცუდად.

მომხმარებელი: — არ ვარგებულა... როგორც იცყვიან, ეს დაილოგი კომენტარს არ საჭიროებს.

კონსპონდენტი: — პროფილის შეცვლა თუ გამოსწორებდა საქმეს?

ი. ლეშაქელი: — ბელწრფელად უნდა გითხრათ, რომ ახლად დანიშნული სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელებისათვის პროფილის შეცვლა იოლი გამოსავალი იყო, რადგან იგი ზემდგომი ორგანოების ფიქრსა და ზრუნვას უფრო მეტად დაქვემდებარებოდა. ვიდრე ჩვენს ინტელექტუალურ განაჩას, გააზრებულ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

კარგად მოგეხსენება, რომ სხვისი მოიდგომით დღეს ვერ იცხოვრებ, მოაჯარი და გადაწყვეტეთ თვით კოლექტივთა, მისი რეზერვები, ფარულ პოტენციალთა გამოვლენისა და ამოქმედების უნარი.

კონსპონდენტი: — კონკრეტულად რით დაიწყეთ მუშაობის რადიკალური გარდაქმნა?

ი. ლეშაქელი: — პირველ რიგში როგორც ეკონომიკური, ისე ფსიქოლოგიური რეზერვები ავამოქმედეთ, გადავწყვიტეთ ასრტაქმენტის მთლიანი განახლება როგორც არტაქმელების, ისე კოლრიტული მხატვრული გაფორმების მიხედვით. უმოკლეს



გოლოდა უნდა ვაგოთ

მისი შემქმნელისა და პირველი დირექტორის ვალერიან კობალიძის სახელს. კომბინატის პარტორგანიზაციის მედიანმა ვახტანგ კაცაძემაც საუბარი სწორედ მის სახელთან დაკავშირებული შრომითი ტრადიციებიდან დაიწყო.

მეთხუდ საუკუნეზე მეტია გასული იმ დღიდან, როცა 1963 წელს რამდენიმე სახერხი საამქროს ბაზაზე შეიქმნა სამტრედიის ხის დამამუშავებელი კომბინატი. ნღების მანძილზე იხვეწებოდა და ყალიბდებოდა კომბინატის დღევანდელი სახე, და თუ დღეს მის ნაწარმზე დიდი მოთხოვნილებაა, ეს უთუოდ იმ სახელოვანი შრომითი ტრადიციებისა და ახლის სინთეზის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ.

ამჟამად კომბინატის სათაო წარმოებაში, საავეჯო ფაბრიკასა და მერქანბურბუშელის ქარხანაში რამდენიმე დასახელების სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ. ესენია: დახერხილი ხე-ტყე, პარკეტო, მერქან-ბურბუშელის ფილა, საკანცელარიო საქონელი, საწალი გარნიტურები, მაგიდები და მისადგილები...

ასორტიმენტის ზრდას დიდად უწყობს ხელს ბაზრის კონიუნქტურის, მომხმარებელთა მოთხოვნილების შესწავლა და მონიტინგი, მონათესავე საწარმოებში მუშაობა მივლინება გამოცდილების გადმოცალდად.

სამტრედიის ხის დამამუშავებელ კომბინატში ტექნიკური დონის ამაღლებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის სუვერემ დავლებათა შესრულებას დიდი ყურადღება ეთმობა.

მის მიერ გამოშვებულ საძინებელ ანაკრებს „მახატრულსა“ და „პახალუსს“, აგ-

რეთვე თეთრეულის კარადასა და საწერ მაგიდას ხარისხის უმაღლესი კატეგორია აქვს მინიჭებული. ამჟამად უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება შეუძლია სასაქონლო პროდუქციის თითქმის ნახევარს შეადგენს.

კომბინატის მიერ გამოშვებულმა ავეჯმა უკვე საკმაო ავტორიტეტი მოიპოვა. ზოგი მათგანი კონსურენტუნარიანიც კი გახდა და საუაჭრო ქსელში მიხვედრის უშალ იყიდება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ აქ ყველაფერი ნესრიგშია, სრულყოფამდე ჯერ კიდევ შორს არის.

მაინც რა არის ამის მიზეზი?

ჯერ ერთი, ხშირად ირღვევა ტექნოლოგიური პროცესი, რაც მკვეთრად აუარესებს პროდუქციის ხარისხს, დიდია ანათობა შპონის დანაკარგები, მეორეც, წარმოებაში ბევრია ისეთი უბანი, რომელიც უახლოს დროში ტექნოლოგიურ სრულყოფასა და ტექნიკურ განახლებას საჭიროებს. იმის მიუხედავად, რომ მიმდინარე ხუთი წლის მანძილზე კომბინატმა ჩვიდმეტი მილიონი მანეთის საბჭოური და საზღვარგარეთული მოწყობილობები შეიძინა, მაინც ნელი ტემპით მიმდინარეობს სანარჩოს რეკონსტრუქცია. უსუსველად ჭიანჭრდება ამა თუ იმ მოწყობილობის დამონტაჟება.

შარშან საავეჯო ფაბრიკაში დამონტაჟდა ვერშანის ფედერაციული რესპუბლიკიდან შემოტანილი მაპროფილებელი დეტალების ხაზი, რამაც პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესა. მიმდინარეობს კომბინატის მერქანბურბუშელის ქარხნის მილიანი რეკონსტრუქცია.

1990 წლისათვის მოძველებული დანად-

გარები მთლიანად უნდა შეიცვალოს პოლონური ხაზით.

კომბინატის მუშაობა უფრო ეფექტური იქნებოდა, რომ დროულად მარადგებოდეს ხარისხიანი და საჭირო რაოდენობის პირველადი ნედლეულით.

1987 წლიდან კომბინატი სამეურნეო ანგარიშით მუშაობს. მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლამ გარკვეული გავლენა მოახდინა წარმოების სტრუქტურაზეც და საგრძნობლად გააუმჯობესა კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

შარშანდელი წელი კომბინატმა შეიძლია მილიონ ორასი ათასი მანეთის მოგებით დაამთავრა. 98 პროცენტით შესრულდა სახელმწიფოებრივი მამყენებელი. რაც რაიონის მთლიან მამყენებელს აღემატება.

ახალი დებულების საფუძველზე მოენ-

ყო კომბინატის მუშაობა ატესტაცია. მუშის საშუალო თვიური ხელფასი 229 მანეთამდე გაიზარდა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ კომბინატის რეკონსტრუქცია და სოციალური სექტორის განვითარება მისივე მოვების გამოყენების გზით ხდება.

იქნებ ზოგ მითხვებს კიდევაც ეუცხოოს, რომ აქ დასაქმებული ორი ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურიდან ათას რვაასზე მეტი ქალია. არ არსებობს უბანი, სადაც ქალი არ მუშაობდეს. ისიც ნიშნავს დობლივია, რომ საშუალო ასაკი ორმოცი წელია. ახალგაზრდებს აქვერდში უღვანან უფროსი თაობის ადამიანები, ცხოვრებზე თავიანთი საქმიანობითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით მათაგანთა აძლევენ შაბ.

კარგი შრომისათვის პატივისცემას იმსახურებენ დირექტორის მოადგილე ეკონომიკის დარგში, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი თინა ჯვარამუშვილი, საავეჯო ფაბრიკის მთავარი ინჟინერი დალი ჯიქიძე, დირექტორის მოადგილე ხარისხის დარგში შიზა ლურჯიძე, ცენტრალური ლაბორატორიის გამგე ნაზიზოლა ადგიშვილი, ამავე ფაბრიკის ტექნოლოგი ფანი შუბლაძე.

მალღახარისხოვან პროდუქციას ქმნიდა დღეს კობალიძევილი, ნაზი ბოხუა, რუსიკო კალაძე, ნაზი თევზაძე, ანასტასია გეგია, მაგულა ვაწენიძე, თინა მუქერია და სხვები. რადგან ზოგიერთი სამაქროში, ჯერჯერობით მაინც არ არის დამკამყაფილებელი პრობლემა, რეკონსტრუქციის სამაქროში ადგენილია თუ მოსაპირკეთებლად გამოსაყენებელი სხვა ქიმიური საღებავების მამყერი და სპეციფიკური სუნი დავს. მიზეზი ის არის, რომ



დამპროექტებლებს თავის დროზე არ გაუთვალისწინებიათ ჰაერგამწმენდი საშუალებების საჭირო ოდენობით დამონტაჟება.

ამიტომაც გამოიყენეს უემაყოფილება ჩვენიან საუბრისას მხვებებმა მავალი ჯანელობით და თინა მუქერამა. ქალბატონმა თინამ ისიც კი აღნიშნა, როცა ასეთ რთულ პირობებში გვიხდება მუშაობა, ხელფასი სხვებთან შედარებით მეტი უნდა გვეკონდეს და პენსიაზეც ორმოცდაათი წლისანი მაინც უნდა გავდიოდეთ.

არ შეიძლება, არ დაეთანხმო შრომის მონივნებას და სამი შეილის დედას. ეს საკითხი მეტ ყურადღებასა და მხარდაჭე-

რას მოითხოვს უპირველესად თვით კომბინატის ხელმძღვანელებისაგან. მათ იმი. სიფისაც უნდა იზრუნონ, რომ მუშა ქალების ჰქონდეთ მიკრონიის ოთახი, სასადილო კი უკეთ მარაგდებოდეს.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეები სარგებლობენ დამხმარე მეურნეობით. აქ ნარმომებული ხორცი, თევზი თუ თაფლი ხშირად ამშვენებს მათ საჯავახო სუფრას.

კომბინატის ტერიტორიაზევცა განლაგებული საფარო, სამედიცინო, სპორტული დაწესებულებანი, კულტურის სახლი.

ბოლო ორ წელიწადში ოთხ ოცდაოთხიწინან საცხოვრებელ სახლში კომბინატის მშრომელებმა ახალსახლობა იხვიეს.

შრომითი კოლექტივთა გვირგვინად მეთორმეტე ხუთწლიანი დამლევსისთვის ერთიორად გაზრდის პროდუქციის შემოსავლის მოცულობას, გააფართოვებს საქონლის ასორტიმენტს და იმ დიდ თუ მცირე ხარვეზებსაც აღმოფხვრის, რომლებიც ჯერ კიდევ აქვს მუშაობაში, მაშინ ფაბრიკა შესძლებს სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსების პირობებში თვითმმართველობის საწყისებზე მიადნობის საუკეთესო საბაზოო შედეგებს.

ასე ფიქრობს მათი თავკაცი ნოდარ ბახტაძე.

ასე ფიქრობს მთელი კოლექტივი.

წუნუ კუპრაქიშვილი

ბიოგრაფი ხეჩუაშვილი

მკაჩიგული შვილის მამრიუნება

გიორგობა



წ. დათუაშვილის ფოტო

გუშანით ხვდებიან ეს წყველი ფრინველები, საითაც იღრინება ომის ურჩხული და ფიცფიცით იქითკენ გადაიხვევებიან ხოლმე.

ახლა, როცა მაისის მზემ სისხლით გაუთიებული შინა დააშრო და გმინდა და კენესა მიწელდა, სიკვდილის ზარზეგმით ადევნებულ ამ ვერგ ფრინველებს თავზარი დაეცით. ხარში გნისაი ჩაუწყდათ და თავგზაბანულეებმა თავთავიანთი ბუნაგისაკენ იბრუნეს პირი.

